ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 60
პარასკევი, 19 მარტი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 60
პარასკევი, 19 მარტი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მკურნალი მიხეილ საბას ძე ციცკარაშვილი** და **ელისაბედ სვიმონის ასული ალნიაშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—დისას, ხოლო მეორე—დისწულისას

**ანნა საბას ასულის ციცკარაშვილისას**

და სთხოვენ დაესწრნენ დასაფლავებას, კვირას, 21 ამა მარტს, დაბა ცხინვალში. (2—37—1)

**მ. ი. ნიკოლაძე ამით აუწყებს**

ყველა იმათ, ვინც იმისაგან შეიძინა აბრეშუმის თესლი, „Sylvain Moyroud“—სილვენ მუარუს ფირმისა, რომ მის მიერ კავკასიის საბრეშუმო სადგურში წარდგენილი ამ ფირმის 37 კოლოფი თესლი სრულიად უხადო და უსენო აღმოჩნდა. (3—6.—3)

**ტფილისის ვაჭართა სტაროსტა და იმისი ამხანაგები**

ამით აცხადებენ, რომ კვირას, 21 მარტს, დილის $11^1/_2$ საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ტფილისის 1 და 2 გილდის ვაჭართა.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1, განხილვა ანგარიშებისა 1897 და 1898 წლების შემოსავალ-გასავლისა და სხვა საქმეებისა, რომელნიც ვაჭართა საზოგადოებას შეეხება.

2, არჩევანები ვაჭართა სტაროსტასი და მისის ამხანაგებისა 1899 წლისათვის. (1—36—1)

**კბილის ექიმი**
**ა. გ. სოლოლაშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—5)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардiана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (—1—წ)

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის**
**კანტორა**

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში.
ტელეფონი № 620. (30—6.—23)

**მთავრობის განკარგულებანი**

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა—თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორს ჭიჭინაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა—ყიზლიარის სამოქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელს ჯაფარიძეს.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც გაზ. „კავ.“-სი იუწყება, კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგიდგან ტფილისში ივნისამდე ვერ ჩამოვა.

*** რადგანაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას განზრახვა აქვს დაჰბეჭდოს კრებული პუშკინის ქართულად ნათარგმნ ნაწერებისა მაისის საიუბილეო დღესასწაულისათვის, ამიტომ იგი გამგეობა უმორჩილესად სთხოვს იმათ, ვისაც გადათარგმნილი აქვს რომელიმე ნაწერი რუსთა გამოჩენილის პოეტისა, ლექსი ანუ პროზა, გამოუგზავნოს გამგეობას კრებულში დასაბეჭდად. თუ უკვე დაბეჭდილია სადმე ამისთანა ნათარგმნი, აცნობოს გამგეობას, სახელდობრ, სად (რომელს ჟურნალსა ანუ გაზეთში) და როდის არის დაბეჭდილი. უფრო უკეთესი იქმნება, თუ მთარგმნელი თვით დაბეჭდილს გამოუგზავნის გამგეობას. ადრესი: Тифлисъ, въ канцелярiю об-ва грамотности“.

*** გუშინ წინ, 17 მარტს, „ნაძალადევის“ უბნის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ „ნაძალადევში“ ქალაქის ხარჯით სამოქალაქო სასწავლებელი იქმნას დაარსებული. „ნაძალადევში“ არც ერთი სასწავლებელი არ არსებობს არც სახელმწიფო და არც საქალაქო; მცხოვრებთა რიცხვი კი იქ, როგორც შუამდგომლობიდგანა სჩანს, 600 კომლს აღემატება. იმედია, ქალაქის საბჭო უყურადღებოდ არ დასტოვებს ნაძალადევლების ამ თხოვნას და ამ ჟამად თუ არა, ახლო მომავალში მაინც განახორციელებს იმათ სურვილს.

*** კვირას, 21 მარტს, ყოვლად-სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდი მწირველი ბრძანდება მცხეთის საკათალიკოსო სვეტი-ცხოვლის ტაძარში.—იგალობებს ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, შარშან მთავარ-მართებლის საბჭოს წევრმა ბ-ნმა პრიბილმა ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრების სამმართველოების რევიზია მოახდინა. ეხლა, როგორც „კავ.“ი იუწყება, ანგარიში ამ რევიზიისა საგუბერნიო მმართველობას გარდაეცემა განსახილველად და საჭირო განკარგულების მოსახდენად.

*** სცენის მოყვარეთა წარმოდგენა, რომელსაც კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა ჰმართავს ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ, დანიშნულია 30 მარტისათვის. წარმოდგენა სახელმწიფო თეატრში იქმნება გამართული.

*** გაზ. „კავ.“-სი სწერს: როგორც შევიტყეთ, ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ შეუძენიათ ბ-ნთ ხონელსა და ჯაბადარს. სასურველია, რომ ახალ რედაქციას მთავრობამ პროგრამის გაფართოვების ნება მისცეს.

*** როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, მთავრობამ გარდასწყვიტა გადასდოს ხაზინიდგან ამ წელს 300,000 მანეთი კავკასიაში ძველის გზების შესაკეთებლად და ახალის გასაყვანადაო.

*** ტფილისის ქალაქის მოურავის მიერ წარგზავნილ იმ განმარტების მიუხედავად, რომელიც შეეხებოდა ქალაქის ფულის კერძო საკრედიტო დაწესებულებებში შენახვას, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა კვლავ მოსთხოვა განმარტება ამავე საგნისა და აგრეთვე იმის შესახებ, თუ სახელმწიფო ფული რატომ თავისს დროზედ არ იგზავნებოდა ხაზინაში. ამასთანავე, რა მიზეზის გამო იქმნა მოქცეული სახელმწიფო ფული ქალაქის კასის საზოგადო სამოქმედო თანხაში, რადგანაც ამ ფულისა, როგორც რევიზიამ აღმოაჩინა, 16 ოქტომბერს ქალაქის კასსაში აღმოჩნდა მხოლოდ 9293 მანეთი 29 კაპ., უნდა ყოფილიყოკი 39,000 მანეთამდე.

ამის საპასუხოდ ქალაქის მოურავმა გუშინ, 18 მარტს, გაუგზავნა გუბერნიის გამგეს საბჭოს 15 თებერვლის კრების ოქმის პირი და ამასთან განმარტა, რომ 1898 წლის 17 მარტამდე ქალაქის კასსაში იყო: ნაღდ ფულად—7609 მან. 67 კ., საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში მიმდინარე ანგარიშით—144,157 მ. 9 კ. და ტფილისის საკომერციო ბანკში 41,044 მან. 9 კაპ., სულ 193,170 მან. 85 კ.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 25 მარტისთვის და არა 21 მარტისათვის, როგორც წინად იყო განზრახული. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, აგრონომი ბ-ნი ტიმოფეევი წაიკითხავს მოხსენებას იმის შესახებ, თუ სასოფლო-სამეურნეო საქმეში რაოდენი მნიშვნელობა აქვს ამხანაგობებსა და სინდიკატებს.

*** ქალაქის გამგეობის უკანასკნელ კრებაზედ ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, რომ დაენიშნოს გამგეები ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფოს და იმის განყოფილებებს. გამგეობის უმცირესობამ განაცხადა, რომ გამგეებად დავნიშნოთ საქმოს ორი ექიმიო, ხოლო უმრავლესობამ—გამოვიწეროთ მკურნალები: ხარკოვიდგან ელიაზაროვი და პეტერბურგიდგან აგანჯანოვიო. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ცნობები შეჰკრიბონ ამ მკურნალების შესახებ. მეტად საკვირველია ეს საქციელი: ნუ თუ ტფილისში მკურნალი აღარ მოიპოვება, რომ პეტერბურგიდგან აგანჯანოვი და ხარკოვიდგან ელიაზაროვი არ გამოიწვიონ?!.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის დადგენილების თანახმად, დაბა ხონში არსებულ სამასწავლებლო სემინარიას და ოზურგეთის მაზრის სოფ. ნიგოითის სასწავლებელს მიეცემათ ამ კომიტეტის ფულიდგან თითოს 150 მანეთი ამერიკულის ვაზის გასაშენებლად.

*** ინჟენერმა მიხაილოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას პროექტი ქალაქის წყლის მილის გაფართოების შესახებ. როგორც იმის, აგრეთვე ინჟენერის ლისიცევის პროექტი ამავე საგნის შესახებ გარდაეცემა განსახილველად გამგეობისა და ტეხნიკოსთაგან შემდგარი კომისიის შეერთებულ კრებას.

*** ქუთაისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს, როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, დაუმტკიცებია ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს ბ-ნ მიხაილოვს ქუთაისში ელექტრონის რკინის გზა გამართოს.

*** „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, რომ მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაავალა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას იზრუნოს, რათა სოფლის მცხოვრებთა შორის გავრცელებულ იქმნას საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო იარაღის ხმარება და ამასთან დააარსოს საწყობები, სადაც მცხოვრებლთ შეეძლოთ იაფ-ფასად ამ იარაღის შეძენა. ამ საქმისათვის სამინისტრომ 3,000 მანეთი გადასდო.

*** გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, რადგანაც ამ ჟამად სენაკისა, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში იმ თავად-აზნაურთა რიცხვმა, რომელნიც მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნენ თავადისა და აზნაურის წოდებაში, თავად-აზნაურთა სამაზრო კრებისათვის კანონით საჭირო რაოდენობამდე მიაღწია, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო ამ მაზრებში ისეთივე თავად-აზნაურთა წარმომადგენლობა არსებობდეს, როგორიც ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებში არსებობს.

*** გაზეთ „კავ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ შესდგა ახალი სააქციონერო საზოგადოება რომელსაც შავის ზღვის პირის გუბერნიაში მაგარის სასმელების—კონიაკისა და ლიკიორის—მომზადება აქვს აზრად. საზოგადოების ძირის თანხა 400,000 მანეთისაგან შესდგება.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ზაფხულს ტფილისში ჩამოვა ცნობილი გერმანელი ბოტანიკოსი დიკი. დიკს აზრადა აქვს სამეცნიერო აზრით იმოგზაუროს კავკასიაში.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ ქუთაისის გუბერნიიდგან: აქ არავის არ ახსოვს რომ როდისმე ამდენი გასასყიდი აბრეშუმის ჭიის თესლი მოეტანოთ,

რამდენიც წელს მოიტანეს. როგორც შევიტყეთ, მთელს გუბერნიაში უკვე გაუყიდნიათ და დაურიგებიათ 100 ფუთი თესლი—შარშანდელთან შედარებით 50 ფუთით მეტი. თესლი მეტად იაფად იყიდება —მისხალი 10—40 კაპეიკად. ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ გაგზავნილი უფროსი მეაბრეშუმე, ბ-ნი ქუთათელაძე უკვე შეუდგა ადგილობრივ ამ თესლების მიკროსკოპიულად გამოკვლევას.

ჩვენის მხრივ დაუმატებთ, რომ საჭიროა საბრეშუმო სადგურმა ამ გარემოებას მეტი ყურადღება მიაქციოს. ერთად ერთი ბ-ნი ქუთათელაძე ვერაფერს გააწყობს მთელს გუბერნიაში და იმ თესლის მეათედსაც ვერ გაშინჯავს და იმათ სიავკარგეს ვერ გამოაკვლევს, რომელსაც ქუთაისის გუბერნიაში ჩარჩები ჰყიდიან. მცხოვრებლები, როგორც ეტყობა, ძალიან ეტანებიან აბრეშუმის მოყვანას. ამიტომ საჭიროა კარგი და უზადო თესლი გაიყიდოს, რომ ცუდის თესლის წყალობით აბრეშუმის მოუსავლობამ გული არ აუცრუვოს და ხელი არ აალებინოს ხალხს ამ მეტად შემოსავლიან საქმეზედ. კარგი იქმნება მცოდნე და გამოცდილმა მასწავლებლებმა და მღვდლებმაც ურჩიონ და გააფრთხილონ ხოლმე სოფლელნი.

** აზრადა აქვთ, ამიერ-კავკასიის იმ ქალაქებში, როგორც „ტფილ. ფურ.“-ი იუწყება, სადაც თვით-მმართველობა არ არის შემოღებული, შეადგინონ სასანიტარო კომისიები. წევრებად ამ კომისიებისა იქმნებიან ადგილობრივი მკურნალი და ქალაქისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.

** ს. გომი, (ოზურგეთის მაზრა), 17 მარტი. ეს ერთი კვირაა ჩვენში ძლიერ ცხელი ამინდები სდგას, ხალხმა მუშაობას მიჰყო ხელი, რომ უბედურება თავზედ წამოგვაწყდა, ყანების წმენდა შეაჩერა და სოფელს ზარალი მისცა. 13 მარტს აქაურ მემამულეების ტყეში ტყის მცველების დაუდევრობისა და უვარგისობის გამო ცეცხლი გაჩნდა; ოთხს დღესა და ღამეს გრგვინავდა ცეცხლი ტყეში და მთელს სოფელს დაწვა-დახრაკვას უქადდა. სოფელმა ყოველი ღონისძიება იხმარა მძვინვარე სტიქიონთან საბრძოლად. შემოქმედის საზოგადოების მამასახლისმა ბ-ნმა გ. მელუამ დიდი მხნეობა გამოიჩინა ამ საქმეში, რისათვისაც დიდის მადლობის ღირსია.

** ახალ სენაკი. დადგა ეს წელიწადი თუ არა, აბრეშუმის თესლის ვაჭრებმაც ფეხი გამოჰყვეს. ვის გინდა და არა, დიდ ვაჭრიდგან დაწყებული უკანასკნელ მეწვრილმანემდე, აბრეშუმის თესლის მრავალი კოლოფები უწყვიათ დუქანში და ხალხში არიგებენ ზოგნი—პარკად, ზოგნი—ფულით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ძნელი გამოსაცნობია, ამ სხვა-და-სხვა ჯურის თესლთა შორის, რომელია უკეთესი. აბრეშუმის თესლის ვაჭრებს „აგენტები“ ჰყავს სოფლად გაგზავნილი და ყველა თავისის აბრეშუმის თესლს აქებს. სამწუხარო ის იქნება, თუ აბრეშუმის თესლი სალი არ გამოდგა. აუარებელი განცხადებები იბეჭდება ძმ. თავართქილაძეების სტამბაში, სადაც ყველა თავთავის აბრეშუმის თესლს და ფირმას აქებს, მაგრამ, რომლის განცხადების პატრონს ერწმუნოს კაცი?!. ამდენი აბრეშუმის თესლის მოტანით ხალხი დაშინებულია და არ იცის, ვის ენდოს.

** გაზეთ „Тифл. Лист.“-ში შემდეგი წერილია დაბეჭდილი თავად რევაზ ერისთავისა: „ერთ თვეზე მეტია, რაც გორის მაზრის სოფ. დოესში, რომელიც 250 კომლისაგან შესდგება, მკვინვარებს სხვა-და-სხვა სენი, რომელიც ყოველ დღე ერთს ან ორ ბავშვს ისტუმრებს საიქიოს. ორ ოჯახს ყველა ბავშვები გარდაეცვალა; ისეთი ოჯახი არ არის, სადაც ავადმყოფი არ იწვეს. პირველ ხანს ყვავილი მძვინვარებდა, შემდეგ ყივანა-ხველა და წითელა დაერია ბავშვებს. სულ მცირე ხანში ამ სენმა 30 ბავშვზედ მეტი იმსხვერპლა. ვკითხე მამასახლისს, რატომ არ აცნობებ მთავრობას ამ ამბავს-მეთქი და მომიგო, რომ რამდენჯერმე შეატყობინე სამაზრო მმართველობას, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ამ ორი-სამი დღის წინად თვით შევხვდი ერთ მოხელეს და ვთხოვე შემწეობა აღმოჩინათ სოფლისათვის, მაგრამ არც ამ თხოვნამ გასჭრა. სწორედ საკვირველი საქმეა, რომ ერთის საათის სავალზედ ქალაქიდგან, სადაც არა ერთი და ორი მკურნალია, სოფელი უმწეოდ იყოს დარჩენილი და ეღოდოს—სენი თავის თავად როდის მოისპობა. ხოლო სენი მოისპობა მაშინ, როდესაც სოფელში აღარც ერთი ჯან-საღი ბავშვი აღარ დარჩება“.

** მტკვარი დღითი დღე მატულობს. ამ უკანასკნელს სამს დღეში წყალმა ორ ნახევარ არშინზედ აიწია.

** ამას წინად ბორჩალოს მაზრაში ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს სოფ. დიდ-გომარეთის მცხოვრების გიორგი მჭედლიძის თივას.

** იმავე მაზრაში შეიპყრეს ციმბირიდგან გამოქცეული სოფ. კალალინის მცხოვრები გიგო მანთაშაშვილი.

** ფშაველის სატყეო აგარაკში, თელავის მაზრაში, ლეგურის ბოლოს ჰნახეს მკვდარის კაცის, თიონეთის მაზრის მცხოვრების გეჯურა ჯუსლაურის გვამი.

** ქ. ქუთაისი. კვირას, 14 მარტს, ქალაქის თეატრში ქუთათლებმა მოვისმინეთ კონცერტი ბ-ნის ქორიძისა. ამ კონცერტის მზადების ამბავი კარგა ხანია გვესმოდა, მაგრამ ბ-ნ ქორიძის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ შეაფერხა იგი აქამომდე. ახლა-კი დავსტკბით ამ კონცერტის მშვენიერად აღსრულებით. 25 კაცი და ქალი ისე მშვენიერად და მწყობრად ჰმღეროდნენ ყველა სიმღერებს, რომ თითოეულს ნომერს აღტაცებაში მოჰყავდა დამსწრე საზოგადოება· თითქმის ყველა საგალობელი გაამეორებინეს და ტაშის ცემასა და „ვაშას“ ძახილს დასასრული არა ჰქონდა. ბ-ნ ქორიძეს ხელოვნურად შეუმუშავებია ქართული სიმღერები, რომელთა მოსმენა თანდათან ატკბობს კაცის გრძნობას. ერთის სიტყვით, კონცერტმა მსმენელნი ძალიან ასიამოვნა და ბ-ნი ქორიძე ბევრჯელ გამოიხმეს სცენაზედ მადლობის ნიშნად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ჯუმათი, (გურია). დიდი ხანია, რაც დავა ატეხილა ჯუმათისა და მამათის საზოგადოებათა შორის საზღვრის შესახებ. ეს ორი სოფელი ერთმანეთს ეჯიბრება: „მამათის“ და „რუხმელას“ ღელეებს შორის მცხოვრებლები არც ჩემია და არც ჩემიაო. ამის მიზეზით ათას გვარს გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი; ქურდ-ბაცაცობას და სხვა თვალ-საჩინო ნაკლს სათვალავი არა აქვს. არც გზა აქვთ და არც კვალი! უგზოობით ნაწარმოები ვერც სახლში შემოუტანიათ და ვერც გარეთ გაუტანიათ. ამ უიღბლო სოფელში ჩამოდის ერთი უმთავრესი გზა, რომლის საშუალებით ყოველივე აცანისა, აკეთისა, მამათისა და გურიის სხვა აღმოსავლეთის სოფლებიდგან უნდა გავიდეს გასასყიდად ქ. ფოთში, მაგრამ რას ჰხედავს მგზავრი: გამოივლის მამათის სოფელს, მიადგება ამ ბედშავ საზღვარს და გასვლა ურმით თუნდა ცხენით შეუძლებელია! შეიძლება საპალნე ჩამოიღონ, ზურგით გადაზიდონ ერთის ვერსის მანძილზედ, ცხენი საცალ-ფეხო გზით მოატარონ და შემდეგ ისე განაგრძონ მგზავრობა. იკითხავთ: განა მღვდელი, სოფლის მასწავლებელი, ან სხვა ვინმე კეთილის მყოფელი არ იყო, რომ ამისათვის ეზრუნაო? არიან, როგორ არა! ამ დალოცვილს კუთხეს თუმცა ბევრი „ახუნდის“ მსგავსი ინტელიგენტი ჰყავს, მაგრამ ისინი მხოლოდ თავისის კუჭისათვის ჰზრუნავენ...

ჯუმათის მოხელეების მიმართ საყვედურიც არ ითქმის, რადგანაც ამ გზის გაუმჯობესებისათვის იმათ ბევრი მიწერ-მოწერა ჰქონდათ მთავრობასთან. როგორც იყო, ამ გარემოებამ მიაღწია ბ-ნ მაზრის უფროსის ყურამდე და მან გზის გაკეთება მაშინვე მიანდო გზის ზედამხედველს ბ-ნს გუგენავას. ზედამხედველიც მაშინვე მოვიდა და გაუყო გზა ჯუმათისა და მამათის მამასახლისებს გასაკეთებლად. ჯუმათის მოხელენი და იმათი მუშა ჯერ-ჯერობით ფუცა-ფუცით შეუდგნენ მუშაობას, თუ ბოლომდე გაიტანეს. რაც შეეხება მამათს, აქ მხოლოდ განაწილებული აქვთ საქმე და მუშაობას როდის შეუდგებიან, ეს ღმერთმა უწყის. იმედია ამ გზას რიგიანად გააკეთებენ და მცხოვრებლებს გამოიხსნიან გაჭირვებისაგან.

არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ჯუმათის სამონასტრო სკოლის შესახებაც. ვინ არ იცის, რომ ოზურგეთის მაზრაში ყველაზედ უწინ ს. ჯუმათში დაარსდა სასოფლო სკოლა და ხალხიც სიხარულით მიეგება ამ ბედნიერებას; სკოლის საქმეც 1896 წლამდის სულ წინ მიდიოდა; 1896 წელს საზოგადოებას უნდოდა ეს სკოლა ორკლასიანად გადაეკეთებინა, მაგრამ აქაუ-

---

# ფელეტონი

## ნანა

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან).

(შემდეგი *)

### II

გათენდა. ცა მოწმენდილიყო და ერთი ნამცეცი ღრუბელი არსად აღარა სჩანდა. ამოვიდა მხიარული მკათათვის მზე და ჯაჯნათა ალის ფრად პირიქით თუშეთის მთის წვეროები. მზესთან ერთად ბუნებამაც გამოიღვიძა. აქა-იქ კლდეებიდგან აიშალნენ მაღალ მთის ფრინველნი სავ-ყორნები და, სანადიროდ გასულნი, დასრიალებდნენ ცის სივრცეში. მეცხვარეებმაც გაშალეს ცხვარი მთის კალთებზედ და ზედ დააკვნესეს და აატირეს სალამური, „რომ მოუტანონ იქ ჩვენი ქვეყნის მწარე ამბავი და საჩივარი!..“ აქა-იქა მთის კალთებზე არწივის ბუდეებსავით მიკრულ პატარ-პატარა სოფლებში ხალხმა გაიღვიძა; სახლებიდგან ცეცხლის კვამლი ავიდა და განიფანტა დილის მოწმენდილს ჰაერში...

ერთ მთაზედ მოსჩანდა შავად ნაწიდარი *), სადაც ჩარჭობილი იყო ტოტებიანი ქერქ-მოცლილი თეთრი კაჩხო. კაჩხოზედ ეკიდა მელის ტყავის ბუდეში ჩადებული თოფი და ცხვრის ტყავი. ეს იყო თუშების მებატკნეების ბინა. იქვე ბინის მახლობლად დაფანტული ბატკნები სძოვდნენ ნოყიერს ბალახს და მწყემსი-კი ბინაში იმ ღამეს წვიმა და სეტყვისაგან დასველებულ გუდა-ნაბადსა ჰშლიდა გასაშრობად...

— ჰეი, მებატკნევ! შემოესმა მწყემსს ძახილი.

— ჰეი, უპასუხა მწყემსმა, რა დაინახა სერზედ მდგარი კაცი.

— ვისია ბინა? ჰკითხა უცნობმა სერიდგან.

— ხიწოსი.

სერიდგან ნელ-ნელა ჩამოეშვა შეიარაღებული უცნობი და მივიდა ბინაში.

— ოჰ შენა ხარ, ლეგავ! ველარ გიცანი, ვაჟო. მიეგება მხიარულად მწყემსი.

— მე ვარ, მე, სად არის ხიწო, ჰკითხა ლეგამ, როცა ხელი ჩამოართვა მწყემსს.

— ქუმელი შემოგვაკლდა და ამ დილით ადრიანად სხვის ბინებში გადავიდა სასესხებლად. მოიცადე ცოტა და ისაც მალე მოვა. ლეგა ჩამოჯდა იქვე ერთ დიდს ქვაზედ. მოვიდა მალე ხიწო და, დაინახა ლეგა თუ არა, გახარებულმა წამოიძახა:

— გამარჯვება შენი, ლეგავ, რასა იქ, ხომ კარგათა ხარ?..

— გაგიმარჯოს, შენ თავად როგორა ხარ, ხიწო? მიესალმა თავის მხრივ ლეგა.

— ეჰ, ვარ ასე, ლეგავ, როგორც შეჰფერის ამ დროინდელ ჩვენ მწყემსს, მაგრამ უნდა-კი გითხრა, ვაჟო, განაგრძო ხიწომ, ჩამოჯდა რა ლეგასთან ქვაზე,—რომ წუხანდელმა ღამემ დაგვტანჯა.

— რა, ხომ არ დაგაზარალათ? გააწყვეტინა ლეგამ.

— ზარალი-კი არაფერი არ მოგვსვლია, მაგრამ წვიმამ და სეტყვამ ძალიან შეაწუხა ცხვარი. ერთ ალაგას ვერ ისვენებდა, შეწუხებული სუ აქათ-იქით ეცემებოდა, ზედაც ბნელოდა საშინლად. სეტყვა სუ თავპირში გვცემდა და, სწორე გითხრა, ძაღლები რომ არა გვყოლოდა, ნადირი ძალიან დაგვაზიანებდა.

— იწევდა ნადირი?

— როგორ არა, მაგრამ ორი ძაღლი გვყავს, მთელი ღამე ყეფით სუ გარშემო უვლიდნენ ცხვარს და არ უშვებდნენ ნადირს. დილით დავათვალიერეთ და არა აკლდა რა. შენ როგორღაც ვერა ხარ შენ გუნებაზე, ლეგავ? დაიწყო ისევ მცირე სიჩუმის შემდეგ ხიწომ.—ხომ მშვიდობიანობაა ხევში, ხომ არა მომხდარა რა?..

— ვერაა მაგთენი მშვიდობა, ნაღვლიანად უპასუხა ლეგამ, წუხელ იმ ჯოჯოხეთურ ღამეს ჩილოს წისქვილში ლევანი მოუკლავთ ლეკებს..

— ლევანი?!. წამოიძახეს ერთხმივ ზარდაცემულებმა ხიწომ და მისმა მწყემსმა.

— დიაღ, ლევანი! განაგრძო ლეგამ. დილით დედაკაცებს ენახათ თავისს სისხლში მცურავი, ტყვიით დაცხრილული, მარჯვენა ხელ-მოჭრილი და იარაღ-ახსნილი...მაგრამ,— ამაყად და თავის აწევით დაასრულა მოლაპარაკემ,—სახელიანად-კი მომკვდარა: ორი დაღესტნის ლორი შეუწირავს თავისის თავისთვის!..

— სულეთს ემსახურონ ლევანს, ამოოხვრით წარმოსთქო მწყემსმა, ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად... მომკვდარა...

— მარტო ყოფილიყო? ჰკითხა ხიწომ, რომელიც აქამდინ თავ ჩაღუნული უძრავად ჩასცქეროდა მიწას.

— მისი შინშეც...

— ნანა?!. უცბად გააწყვეტინა აღშფოთებულმა ხიწომ და, როგორც დაშხამული, წამოვარდა ზეზე,—მითხარ ჩქარა, ლეგავ, იმას რაღა უყვეს?

— ტყვეთ წაუყვანიათ.

საშინელი ცეცხლი დატრიალდა ხიწოს გულში. არე-მარე მთლად დაუბნელდა. დაჰკარგა ის, ვისაც მისცა ამ ერთის კვირის წინად თავისი თავი, ვისთვისაც უხაროდა სიცოცხლე, ვისთვისაც ებრძოდა უკუღმართს ცხოვრებას... ერთად-ერთმა მან შეიპყრო მისი ამაყი გული, გაჭირვების დროს, რა განსაცდელშიაც უნდა ჩავარდნილიყო, საკმარისი იყო მოეგონა თავისი ნანა, წარმოედგინა თვალ-წინ მისი სახე და ერთი ორად იქცეოდა, უძლეველ გმირად ხდებოდა!.. გულის კანკალით დღე-დღეზედ ელოდებოდა იმ მისთვის სანატრელს დროს, როდესაც მიიყვანდა მას თავის სახლში და მაშინ ბედნიერად შესვამდა ცხოვრების ტკბილს ფიალს... მაგრამ რა იქნა ეს ფიალა, ვინ გამოჰგლიჯა ხელიდგან?—ლეკებმა, მის სამშობლო თუშეთის დაუძინებელმა მტრებმა..

აქამდის ეჯავრებოდა ლეკები არა როგორც პირადი მტერი, არამედ როგორც საზოგადო სამშობლოსი, მაგრამ ეხლა-კი... შურის-ძიებით აღივსო მისი დაკოდილი გული. ეხლა თითონ შეიქნა პირადი დაუძინებელი მტერი... ეხლა მას, როგორც დამაშვრალს წყალი, მხოლოდ იმათი სისხლი სწყუროდა!..

დიაღ, საშინელი ცეცხლის ალი სწვავდა მის გულს. იმისს თავში ფიქრი ფიქრს აწვებოდა და, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო შურის-ძიების ფიალა ევსებოდა და ნაღვლით ევსებოდა და მით სხვა-და-სხვა ნაირად ეცვლებოდა სახე... ლეგას ესმოდა ხიწოს გულის ტკივილი, მაგრამ ვერა მოეფიქრებინა რა, რომ გამოეყვანა იმ საშინელის მდგომარეობიდან. ლეგა დოჭოეული იყო, მაგრამ კარგად იცნობდა ხიწოს: ხუთის წლის წინად, ერთ საღამოს, იმ დროს, როდესაც ლეგას მწყემსმა შინისკენ აქნევინა ცხვარს პირი, დაეცნენ ლეკები, მოჰკლეს მწყემსი და ცხვარი-კი დაღესტნისაკენ გარეკეს. ლეგამ, რომელიც იმ დროს შინაში იმყოფებოდა, გაიგონა თოფის ხმა და რა დაინახა, რომ მისი ცხვარი მიჰყავდათ ლეკებს, მოავლო თოფს ხელი და გამოუდგა უკან დასაყრევინებლად. მიზდევდა უკან თოფის სროლით, თავისის თვალით

*) იხ. „ივერია“ № 59.

*) ალაგი, სადაც ღამით დგება ცხვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მასწავლებლის ბ-ნ ქაჯაიას გადაყვანამ სკოლის საქმე შეაფერხა. მას შემდეგ თუმცა ორი მასწავლებელი გამოიცვალა ჩვენმა სკოლამ, მაგრამ სიკეთე არა დასტყობია-რა. უკანასკნელმა მასწავლებელმა, წარსულს წელს ჩააგონა ხალხს: „სკოლასთან ბაღს დავაარსებ, ნერგებს და თესლებს გამოვიწერო“, სოფელმა ფული მისცა ამათ გამოსაწერად, მიწაც იშოვნეს და შემოღობეს, მაგრამ შიგ დათესილი აღმოჩნდა მხოლოდ ადგილობრივი მხალ-ლობიო. ამ გარემოებამ სოფელს გული აუცრუა, სწავლის საქმეს ზურგი შეაქციეს და ლამის შვილები ერთიანად სამრევლო სკოლაში გადაიყვანეს, მაგრამ ეხლა აქაც დაჰქროლა გამაცოცხლებელმა სიომ: მთავრობამ აქ გამოჰგზავნა გამოცდილი მასწავლებელი ბ-ნი კ. გობეჩია, რომელმაც გამოიწერა სუხუმის სახელმწიფო ბაღიდგან სხვა-და-სხვა ნამყენი, ესენი ამ მარტის პირველ რიცხვებში კიდეც მივიღეთ და ბ-ნი მასწავლებელი გულ-მოდგინედ შეუდგა ბაღის მოშენებას. ამ გვარად, ჯერ იგი გულ-მტკივნეულობით ეკიდება სკოლის გამოკეთებისა და გამობრუნების საქმეს და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან.

ს. ლაშის-პირელი

# რუსეთი

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ რუსეთის გამოჩენილმა რომანისტმა ლ. ნ. ტოლსტოიმ დასწერა ახალი რომანი,—„კვირა“, რომლის ბეჭვდაც უკვე დაიწყო ჟურნ. „Нива“-ში (თავი მე-11 ნომერშია დაბეჭდილი). ეხლა „Рус. Вѣд.“-ს ატყობინებენ, რომ ამ რომანი დაბეჭვდისათანავე ყოველ ნომრის შინაარს მაშინვე დეპეშით გადასცემენ ინგლისურსა და ამერიკულ ჟურნალებს იქ დასაბეჭდადაო.

— პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის უკანასკნელ კურსის სტუდენტებს, როგორც გაზ. „Кур.“-ი იუწყება, შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამ წელს ეგზამენები გაზაფხულის ნაცვლად შემოდგომაზედ მოხდეს.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ფინანსთა სამინისტრომ დაამთავრა ახალის კანონ-პროექტის შემუშავება. ეს კანონ-პროექტი შეეხება მწარმოებელთა პასუხის მგებლობას იმ შემთხვევაში, თუ იმათ ქარხანაში მომუშავე დაშავდა, დაშავებულ მუშათათვის შემწეობის აღმოჩენას, მუშების სადგომებს და სხვა.

— ოსმალეთის მთავრობას ოთხი ქალი—მაჰმადიანი გაუგზავნია პეტერბურგში დედათა უმაღლესს სამკურნალო კურსებზედ შესასვლელად. განათლება ამ ქალებს სტამბოლში მიუღიათ.

— 120 პეტერბურგელ ფარმაცევტს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქალებისა და კაცებისათვის განსაკუთრებული საფარმაცევტო ინსტიტუტი.

— „Сиб. Вѣстн.“-ს სიტყვით, ტომსკის უნივერსიტეტში შემდეგი განცხადებაა გამოკიდებული: „სამოსწავლო ოლქის განკარგულებით ლექციების კითხვა 4 მარტიდგან ტომსკის უნივერსიტეტში შეჩერებულია და სტუდენტებს უნივერსიტეტში შესვლა ახალ განკარგულებამდე აღკრძალული აქვთ“.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** „Indépendance Belge“-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი დრეიფუსის პირველ განსამართლების შესახებ, ნაამბობი ერთის მოსამართლე აფიცერის მიერ. ერთს ცნობილს დეპუტატთაგანს სადილი ჰქონდა თურმე გამართული და 12 კაცი ჰყავდა სტუმარი; მათ შორის ერია ერთი აფიცერიც, მადაგასკარიდგან ახლად დაბრუნებული. იგი მოსამართლედ ყოფილიყო დრეიფუსის პირველ განსამართლების დროს და ყველაზედ უმცროსიც ღირსებით. ლაპარაკი ჩამოვარდა ექს-კაპიტნის შესახებ და ეს აფიცერი თვითვე ჩაერია ლაპარაკში. „საიდუმლო საბუთის ქაღალდიო“? სთქვა მან: „თითონ დედანი საიდუმლო საბუთის ქაღალდისა ჩვენთვის საბჭო ოთახში არ უჩვენებიათ და არც ჩვენ მოგვითხოვნია იგი; მაგრამ ვიდრე განაჩენის დასადგენად აზრთა მოკრებას შევუდგებოდით, წაგვიკითხეს დრეიფუსის ბიოგრაფია, სამხედრო სამინისტროში შედგენილი, და ამ ბიოგრაფიაში იყო მოქცეული ყბადაღებული საბუთის ქაღალდიც, რომელსაც ისე ხშირად იხსენიებდნენ“. არავინ იქ მყოფთაგანმა არ შეაწყვეტინა სიტყვა აფიცერსაო, სწერს გაზეთი, მაგრამ ყველა-კი გაოცებული იყო, რადგან იგი ამ ამბავს უბრალოდ ამბობდა, შეუშფოთებლივ, თითქოს საკვირველი არაფერიაო. ალბად შენიშნა ეს გაოცება და საჩქაროდ დაუმატა: „ესეც არ იყოს, არც საჭირო იყო საიდუმლო ქაღალდის განხილვა. ჩვენ აზრი ბრალდებულის შესახებ უკვე გამორკვეული გვქონდა. ეს აზრი ჩვენ მაშინვე გამოვარკვიეთ, როდესაც მაიორმა ანრიმ ფიცით განაცხადა,—ჩემი უფროსები დარწმუნებულნი არიან, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო.

— მერე ეგ თქვენთვის საკმარისი იყო, რომ ის ბრალეულად გეცნოთ? ჰკითხეს იმ აფიცერს იქ მყოფთ.

— სრულიად საკმარისი. თუ გენერლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო, ალბად იცოდნენ კიდეც, რადგან ამბობდნენ ამას. ამ გარემოებათა შორის არ შეიძლებოდა დამნაშავედ არ გვეცნო ბრალდებული და ჩვენც ერთ-ხმად ვცანით იგი სასჯელის ღირსად. ვითარცა ღირსებითა და ხარისხით უმცროსს სხვა მოსამართლეთა შორის, პირველად მე უნდა გამომეთქვა ჩემი აზრი და მეც პირდაპირ განვაცხადე, სასჯელის ღირსია-მეთქი“.

ამას აფიცერი არხეინად ამბობდა, აღუშფოთებელის სინათლითა და გარკვეულობით. ბოლოს ერთმა იქ მყოფთაგანმა ჰკითხა:

— ეხლა თქვენი აზრი არ შეიცვალა?

აფიცერმა უპასუხა:

— აგერ წელიწად ნახევარია, რაც დავრწმუნდი, რომ დრეიფუსი მართალი და უდანაშაულოა.

„ეს ლაპარაკი, დასძენს გაზეთი: მრავალის მოწმეს თანდასწრებით მოხდა, რომელნიც დაასაბუთებენ მასს სიმართლეს, თუ უარ-ჰყო ვინმემ, მაგრამ არავინ არ უარ-ჰყოფსო“.

## მცირე შენიშვნა.

„მწყემსში“ მოთავსებულ წერილის: „შესაძლოა თუ არა საღვთო წერილის წიგნები მხედრული ასოებით დაიბეჭდოს“ *) პასუხად**).

წარსულ წელს ღია წერილით დიდის მოწიწებით შევეკითხე ჩვენს მწიგნობრებს საზოგადოდ და განსაკუთრებით სამღვდელოებას ხუცურ ანბანის შესახებ. კარგი დრო გავიდა, ხმა არავინ ამოიღო და მაინც სრულიად უყურადღებოდ არ დარჩა ღია წერილი. იანვარში, თელავში მიღებულმა ჟურნალმა მწყემსმა შეგვატყობინა პასუხი-კი არა, „მარტო საზოგადო მოსაზრება“. ეს საზოგადო მოსაზრება შეეხება ბეჭდურ ნაწარმოების მკითხველთა რაოდენობას, საზოგადოების არსებობას, მეფობას, ხუცურის ანბანის ერთის საათით და ერთის დღით შესწავლას, ქართულის მცოდნეთა ათამდის სათვალავს, მხედრულ ანბანის კითხვის სიძნელეს, ხუცურის ლიტერატურის მომავალს ბედს, თუ ხუცური ხმარებიდგან გამოვიდა,—ტაძრების წარწერას და ჩვენს ცვლილების მოყვარეობას.

დიდად პატივმცემელი ვარ ამ წერილის ავტორის მოღვაწეობისა საზოგადოდ, მაგრამ წერილის შესახებ ორიოდე სიტყვით უნდა სიმართლე ვთქვა. საზოგადოდ წერილის ხასიათი მაგონებს კათოლიკების წიგნს „Index“ (ინდექს), რომელშიაც ინუსხებოდა აკრძალული წიგნები და წერილები. რომელის წიგნისა თუ წერილის სახელიც ამ წიგნში მოჰყვებოდა მისი წაკითხვის ან იმის შესახებ აზრის გამოთქმის ნება აღარავისა ჰქონდა. დამნაშავეთ სასტიკად სდევნიდნენ კათოლიკეთა ყველა სახელმწიფოში.

ზემოდ დასახელებულის წერილის ავტორიც რომის კარდინალებსავით ყველას უკრძალავს ღია წერილში აღნიშნულ კითხვებზედ აზრის გამოთქმას. იქნება არ დაიჯეროთ, რომ ეს ასეა, აა, თვით ავტორის სიტყვები:

1) „მართალია, ძალიან კარგი არის ჟურნალ-გაზეთობის საშუალებით, ბეჭდური სიტყვის საერთო შეკითხებით, ყოველგვარი ახალის განზრახვის აწონ-დაწონვა; ამ გვარი წესი მეტის-მეტად სასარგებლოა და ყველასაგან მოწონებული, მაგრამ სხვაგან და არა ჩვენში.“

*) იხილე „მწყემსის“ 23—24 №.

**) პასუხი დამიგვიანდა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. ავტ.

---

ჰხედავდა, როგორ ეცლებოდა ხელიდგან თავისის ალალ ოფლით მონაგარი საცხოვრებელი, მაგრამ ერთი რას გააწყობდა. ეს კარგა იცოდა თითონ ლეგამაც, მაგრამ მაინც მიზდევდა და ცოცხალი თავს ვერ დაანებებდა... აჰა, მთის ქედიც! გადალახავენ ქედს და იქით დაღესტანია. იმ დროს, როდესაც ცხვარი ერთ კლდე ჩონჩხიან ღელეში შევიდა, უცბად წინ გავარდა მქუხარედ თოფი და ლეგამ დაინახა, როგორ დაეცა ერთი ლეკი. დაბორიალდა ბღავილით ცხვარი. ზარ-დაცემული ლეკები აირივნენ და გავარდა კიდევ ამ დროს მეორე. ლეკებმა დაანებეს ცხვარს თავი და გაიქცნენ. მივარდა ლეგა თავისს ცხვარს და განცვიფრებული აქეთ-იქით იხედებოდა და ეძებდა თავისს, თითქოს ზეციდგან მოვლენილ, მხსნელს. ამ დროს ქვებიდგან გამოჩნდა ხელში აჭარელ ყირიმით ჭაბუკი, რომელიც ამაყად მოდიოდა ცხვრისაკენ. ლეგამ იცნო ხიწო.

ხიწოსაც იმ დროს ახლო იმავ მთაში ედგა ცხვარი და რა გაიგონა თოფის სროლა, ჩააბარა ცხვარი მწყემს და თითონ საჩქაროდ გასწია იქით, საიდგანაც გაისმოდა თოფის ხმა. დაინახა თუ არა, რომ ლეკებს მიჰყავდათ ცხვარი, მოკლე გზით გაასწრო, მოუჭრა გზა ლეკებს ღელეში და ქვებში ჩასაფრებულმა თავისის ერთგულ მაჟარით დააყრევინა ცხვარი...

ამის შემდეგ ნუ თუ ლეგა არ უნდა მისულიყო ხიწოს გაჭირების დროს და საშველად მეგობრული ხელი არ გაეწვდინა იმისთვის?!..

დიაღ, ლეგაც ასე მოიქცა. ჩილოს წისქვილში ლეკებისაგან ლევანის მოკვლა და ნანას ტყვედ წაყვანა მეორე დღეს მთელს ხევს მოედო. ლეგამ ეს დოქოში გაიგო. იცოდა, რომ ნანა ხიწოს დანიშნული იყო, იცოდა ისიც, რომ ხიწო ისე ადვილად თავს არ დაანებებდა თავისს ნანას, რომელიც თავ-დავიწყებამდისინ უყვარდა, რომ ან იპოვნიდა და გამოიხსნიდა და ან თავს გადააკლავდა. ამისათვის, შეტყო თუ არა, აისხა იარაღი და გასწია ჩილოში. რა-კი არ დახვდა სოფელში ხიწო, პირდაპირ ცხვრის ბინაში მივიდა, რომ ჭირი და ლხინი მასთან ერთად გაეყო!...

გულ-ამღრეული და სხვა და სხვა ფიქრით გატაცებული კარგა ხანს იდგა ხიწო გაჩუმებული. ბოლოს მთლად გაფითრებული და აღელვებული მიუბრუნდა ლეგას:

— არ იცი, ლეგავ, მდევარი გამოუდგა თუ არა?

— დილით გასულიყო, კვალიც ეპოვნათ, მაგრამ ვერ დასწეოდნენ.

— მაშ მე დავეწევი! წამოიძახა კბილების ღრაჭუნით ხიწომ.

— საიდგან დაეწევი, ვაჟო, მიუგო ლეგამ, ლეკები დილითვე გადავიდნენ თავიანთ სოფელში?

— სადაც უნდა გადავიდნენ, ვიპოვი! ის ღორები ჩვენი მოსაზღვრენი იქნებოდნენ.

— ჰო, ჩვენს ზურგს რომ სოფელი აკრავს, იქიდგან ყოფილიყვნენ.

— ვინ გითხრა?

— კვალი იქ ჩასულიყო, მდევრებმა მითხრეს.

— ვიცოდი, მაშ სხვა საიდგან მოვიდოდნენ, ვინ იქნებოდნენ. ეგ ღორები დაჩვეულნი არიან ღამით ქურდულად თავდაცემას და ეხლა მნახონ მეც!

— როგორ, ხიწო, სოფელშიაც ჰფიქრობ შესვლას? განცვიფრებით ჰკითხა ლეგამ.

— ჩემო ლეგავ, დაიწყო ხიწომ, ხომ იცი, რომ ნანა ჩემი დანიშნული იყო, მაშ რის ვაჟკაცი ვარ, რით უნდა მომწონდეს ტოლ ამხანაგებში თავი? რად უნდა მესხას ყბაზედ წვერი, რას უნდა ამტკიცებდეს ულვაში, თუ სიკვდილის შიშით თავი დავანებე ჩემ ნანას, რომელმაც ამ ერთის კვირის წინად თავისი თავი მომცა, გამხადა თავისს მფარველად, ბატონად!... გავიგო მისი ტყვეობა იმას იქ ჰქონდეს ჩემი იმედი და მე გულიც არ მივათხოვო?... ვაჟკაცის ნიშნად ქუდი თავს მეხუროს და იარაღ-ასხმული ულვაშის გრეხით დანიშნულ მოტაცებული, შერცხვენილი უნდა წარვდგე თემის წინ?— არა, ლეგავ, მე მაგას არ ვიზამ!.. სანამ თვალები მიხელს, მკლავი თავისუფალი მაქვს, თავს არ დავანებებ ნანას. ან ვიპოვნი და გამოვიხსნი, ან არა და, დეე მოვკვდე მტრის მახვილით და დაღესტნის მთებში სვავყორნებმა ინადირონ ჩემს ლეშზედ!..

— მეც შენთანა ვარ, ხიწო! წამოიძახა აღფრთოვანებულმა ლეგამ. ვფიცავ ჩვენს სალოცავების მადლს, ჩვენ წინაპრების საფლავებს, ჩვენს ძმობას და მეგობრობას, ჩვენს პურმარილს, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, თავს არ დაგანებებ!... შენთან ვარ ცოცხალი და შენთანვე ვიპოვი სიკვდილს...

— ჩემი გულისათვის თავი განსაცდელში უნდა ჩაიგდო, ლეგავ? გრძნობიერად წარმოსთქო ხიწომ და იმნაირად შეჰხედა ლეგას, რომ რისამე თქმა მეტი იქნებოდა.

— როგორ თუ შენი გულისათვის? განცვიფრებით მიუგო ლეგამ. მაშ რის თუშობაა და რის თემობა, თუ გაჭირების დროს ერთმანეთ ზურგი არ გაუმაგრეთ? მაშინ ხომ წახდა თემი? მე დოქოში გავიგე წუხანდელი უბედურება, ვიცოდი შენი ამბავი და ამისთვის მაშინვე გამოვწიე შენთან, რომ მეგობრული ხელი მომეწვდინა შენთვის და ეხლა შენ მარტოკა გაგიშო მტრის ქვეყანაში, მე-კი ისევ უკან დავბრუნდე?.. მერე, რა პირით უნდა მივიდე შინ? მაშინ ხომ წავხდი საბოლოოდ, შევრცხვი საქვეყნოდ, ხომ დიაცის მანდილი დამეხურება!..

— მაშ ეხლა ვინ-ღა დაგვიდგება წინ, ლეგავ?.. აღფრთოვანებულმა წამოიძახა ხიწომ. ვფიცავ ჩვენს ძმობას, რომ იმ სოფელში-კი არა, მთელ დაღესტანს გავივლი, შენ რომ გვერდით მყევხარ და ვაი მას, ძმაო, ვინც ეხლა წინ დაგვიდგება! ამ სიტყვებით მიჰვარდა ხიწო თოფს, რომელიც, როგორც ზემოდ ვთქვით, კაჩხოზედ ეკიდა, გადიგდო მხარზედ, აისხა ხმალი, საპირისწამლე და მიუბრუნდა მწყემს:

— აბა, გაბარებ ამ ცხვარს და იმედი მაქვს, რომ შემინახავ.

— ცხვრის ფიქრს ნუ ჩაიყოლიებ, ხიწო, ნაღვლიანად მიუგო მწყემსმა, სანამ ცოცხალი ვარ, არა დაუშავდება-რა, მაგრამ ის მაწუხებს და მკლავს, რომ თქვენთან ვერ მოვდივარ...

— მაგისი ფიქრი ნუ გაქვს, შენ აქ ყოჩაღად იყავ და სხვა—ღმერთი მოწყალეა! უთხრა ლეგამ.

ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ეს ორი კაცი და გაუდგა დაღესტნისაკენ. გზაში დახვდათ მათ ორი მონადირე თუში, რომელნიც ჯიხვების ხორცით დატვირთულნი მიდიოდნენ შინისკენ. რა-კი ჰნახეს, რომ ეს ორი იმათი თავ-განწირული თანამოძმე მიდიოდა მტრის ქვეყანაში, ჩაფლეს ხორცი ზვავში და ისინიც თან გაჰყვნენ.

ივ. ბ—ლი

(დასასრული იქნება)

2) „რა ნაირად გაიგოს კაცმა „საზოგადოების“ აზრი, როდესაც ეგრეთ წოდებული „საზოგადოება“ თავისი საკუთარი სახის მექონი, რაიმე საერთო შეხედულობის აღმსარებელი არც-კი არსებობს.“

3) „ჯერ უბრალო საკითხი რა არის, თორემ ასეთი რთული და სავალალო საკითხი, რომელიც „ღია წერილის“ დამწერს აქვს აღებული, ხომ ყოვლად შეუძლებელიც არის. რომ კიდევაც ვინმემ გაიღოს საპასუხოდ ხმა, განა დაეჯერება მას, ვინც უნდა იყოს იგი და რანაირი ცოდნითაც იყოს აღჭურვილი ქართულ ენაში და საერთოთ ჩვენი ისტორიული ცხოვრების წარმოდგენაში?“

4) „ვისაც მართლა შეუძლიან ამნაირ კითხვაზედ პასუხის მოგება და ვის პასუხსაც შეიძლება ადამიანმა პატივი სცეს და მნიშვნელობა რაიმე დაუმისოს, ამნაირების რიცხვი-კი ერთ ათეულსაც არ გადააჭარბებს და ნუ თუ ამ ერთი ათეულით გადაწყდება ამ გვარი სავალალო საქმე“.

დიახ, ამნაირად უკრძალავს ავტორი აღძრულ საკითხზედ აზრის გამოთქმას. ასაკრძალავ საშუალებად გაუხდია პატივცემულ ავტორს თვით „ქართველთა საზოგადოების“ უარ-ყოფა, ქართველთა ინტელიგენტთა სათვალავის ათამდის შემცირება და სხვა ამისთანანი.

მრწამს და აღვიარებ, რომ ჩვენში „საზოგადოება თავისი საკუთარი სახის მექონი, საერთო შეხედულების აღმსარებელი“ არსებობს; რომ ჩვენში მცოდნეთა რიცხვი ასობით ჩამოითვლება; რომ დღეს მომზადებულნი ვართ ჩემ მიერ აღძრულ საგნის გარდასაწყვეტად და ამიტომ გინმეორებთ ვთხოვ უველას, თავისი აზრი გამოსთქვან ხუცურ ანბანის შესახებ. იქნება პატივცემულ ავტორს მომხრეც ჰყავდეს და თანამოაზრეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათი რიცხვი ბევრად მცირეა, ვიდრე ეს ჰგონია ვისმე.

საქმე ის არის, აზრის გამომთქმელი მიუდგომელი კაცი იყოს და თვით იმას ინტერესი არა ჰქონდეს რა ამ საქმეში. წარმოიდგინეთ, რომ ბერძნულ-ლათინურ ენების სახელმძღვანელოების შემადგენელთ შეეკითხნენ, საჭიროა თუ არა სასწავლებლებში ამ ენების სწავლებაო. რასაკვირველია, ყველა მიჰხვდება, რასაც იტყვიან ისინი.

ნადიკვრელი.

## დამაკვირდი

კაცს რისაც აწდომა შეეძლოს, მას შეეწიოს.

სულხან საბა

* * *

ათასად დამითვალდა გვარიშვილობა, გარნა ღვაწლმან ჩემმან ათ-ბევრ ჰქმნა სასყიდელი მისი.

ლასურიძე

* * *

მუნ არს მვირის ზრახვა, სადაცა არს სათნოება, მუნ შური, სადაცა არის ქველის საქმე.

მწერალი (1586 წლ.)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ინდოეთის ქალაქ ბომბეის შესახებ, სადაც, როგორც ვუწყით, შავი ჭირი ძალიანაა გავრცელებული. ამ ქალაქს მცხოვრებლების რაოდენობით და ვაჭრობით კალკუტის შემდეგ ინდოეთში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ შავმა ჭირმა იგი თითქმის სრულიად დასცა და გაანადგურა. 1896 წლიდგან 1897 წლის თებერვლამდე ბომბეიდგან შავს ჭირს გაჰქცევია და გაიხიზნებულა 398,000 მცხოვრებელი. გაიხიზნებულთა უმეტესობა უკან აღარა ჰბრუნდება თურმე. მთავრობას ვერაფერი გაუწყვია ამ ქალაქში შავის ჭირის წინაამდეგ. უმთავრესი მიზეზი შავის ჭირის ადვილად გავრცელებისა—ქალაქისა და მცხოვრებთა უსუფთაობა და ნიადაგის სინოტივეა. აუარებელი არხები გაიყვანეს, მაგრამ ეს სინოტივე ქალაქს მაინც თავიდგან ვერ ააშორეს. ამის გამო ჰავაც ნოტიო და მავნებელია. ხალხის გახიზვნამ ამ ქალაქის სიმდიდრე, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ძალიან დასცა. ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ ეს მშვენიერი და უდიდესი ქალაქი ახლო მომავალში სრულიად ამოიფხვრება დედა-მიწის ზურგიდგანაო. ვიდრე შავი ჭირი გაჩნდებოდა ბომბეიში, სულ 773,196 მცხოვრებელი იყო, ეხლა-კი, როგორც ვთქვით, ეს რიცხვი განახევრდა. ბომბეიში სცხოვრობს გუბერნატორი, ეპისკოპოსი და სხვა წარჩინებული მოხელე. არსებობს იქ უნივერსიტეტი და მრავალი საშუალო სასწავლებელი. ამ ქალაქს მეტად დიდიდი აღებ-მიცემობა ჰქონდა წინად: 1890 წელს შეუტანიათ 280,530,240 გირვანქა სტერლინგის (სტერლინგი დაახლოვებით 10 მანეთს უდრის) საქონელი, ხოლო გაუტანიათ—296,257,989 სტერლინგისა.

* * *

ამას წინად ერთს ბოსტონელს მანდილოსანს დიდის ამბით დაუსაფლავებია თავისი საყვარელი მაიმუნი, რომელსაც სახელად „პეპო“ ერქვა. პეპო გაწრთვნილი ყოფილა და, ასე გასინჯეთ, ხელის ჩამორთმევაც-კი საუცხოვოდ სცოდნია. როგორც გაზეთები სწერენ, პეპოს ბოსტონელ საუკეთესო ოჯახებთან „დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონია და ყველა ოჯახის კარები იმისთვის ღია ყოფილა“. დამარხვას მრავალი ხალხი დასწრებია. თვით პეპოს გვამი სატინაში შეუმოსავთ და ისე ჩაუდვიათ მშვენიერს და მდიდარს კუბოში. კუბოს მრავალი გვირგვინი და ყვავილი ამშვენებდა თურმე. მიწაში ჩაშვების დროს ბევრს ტირილიც-კი დაუწყია, თვით მანდილოსანს, პეპოს ჭირისუფალს, ხომ კინაღამ გული წასვლია.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ჲბ)

დასასრული *)

ამავე წიგნში შეტანილია წეს რიგი მეფის კურთხევისა და დაგვირგვინებისა (ფურც. 251—266), კურთხევა ერისთავისა და ცოტა ერისთავისა (265 მეორე 268 მეორე).

მეფის კურთხევის შემდეგ

წარუმართნენ პალატად მითვე სახითა, ვითარცა პირველ მოვიკსენნეთ და მარჯვენე ხელი კათალიკოზსა ეჭიროს, მარცხენე ჭყონდიდელსა. ეგრევე შევიდენ პალატად და დასუან ტახტსა ზედა. ჯურისმტვირთველსა, შემოსილსა ძელი ცხორებისაჲ ხელთა ჰყვეს და მარჯვენით მეფისა დგეს, ტახტსა წინაო, ვიდრე ლაშქართა თაყვანის ცემადმდე და ძღუენის შეწირვად:. პირველად დედოფალმან თაყვანისცეს, მერმე კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან და უხუცესმან ამირსპასალარმან და მეჭურჭლეთა უხუცესმან და შემდგომითი შემდგომად ყოველთავე. და ვითარ სრულ იქმნას ძღნობაჲ, შთამოვიდეს ჯურის მტვირთველი და შესამოსლი აღიხადოს: და პური იხელონ წინაჲ:. და წესი ესე არს, რომელ სამდღემდის ყოველთაჲ დღეთაჲ დაჯდებოდის ტახტსა ზედა გვირგვინითა და პორფირითა და თვინიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ არს კურთხევაჲ.

აქედგან სჩანს, რომ ეს წიგნი შედგენილი ყოფილა მაშინ, როდესაც საქართველო ჯერ დაყოფილი არ იყო: შემდეგ რომ შედგენილიყო, მწერალი არ იტყოდა „კათალიკოსს გარდა სხვას არავის შეუძლიან მეფის კურთხევაო“, ვინაიდგან კახეთის მეფეებს ალავერდელები აკურთხევდნენ ხოლმე.

ერისთავის კურთხევა:

რაჟამს მიანიჭებდეს ღმერთი პატივსა ერის მთავრობისასა, განიბნიოს (განიბანოს?) ყოველი გუამი და შეიმოსოს სამოსელი ვითარცა შუენის მეფეთა და სამხრის რეკონ ჟამსა და წარმადგინონ ერის თავი იგი აღსავალსა საკურთხევლისასა, ტაბატაჲ დაუფინონ და ხელთა აქუნდეს კერონი ანთებული; და უდგენ მღუდელნი და დიაკონნი—მარჯუენით და მარცხენით. და თქუას მღდელთა მოძღვარმან ლოცვაჲ ესე (ჩამოთვლილია ლოცვები).

კურთხევაჲ ცოტას ერისთავისას:

უფალო ღმერთო ჩვენო, რომელსა ყოველთა მთავრობათა და უფლობათა ზედა ხელმწიფებაჲ გაქუს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელმან მონაცაჲ ესე შენი (სახელი) ჯერ იჩინე სოფლისაჲ ამის მპყრობელად და მოჰმადლე მას დამორჩილებად ამას ქუეშე მყოფნი სიმართლით და ჭეშმარიტებათა სათნოყოფად ყოველი, რომელი ამის მიერ იქმნებოდის გლახაკთა და ნაკლულევანთა ჟამსა საქმესაჲ მოწყალებისასა იქმნიდეს, სასჯელსა სიმართლისასა ყოფად უქრთამოდ და ყოველნი მსახურნი ამისნი ყოვლითა მშვიდობითა და ყოვლითა დამორჩილებითა მოჰმადლე, განუმრავლე მას ნაყოფი ქუეყნისაჲ ამის უხუებითა ყოვლისა ერისაჲ შენისათვის. რამეთუ შენი არს ხელმწიფებაჲ, მეუფებაჲ და ძლიერებაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ამავე წიგნში ჩართულია წმ. ეფთვიმე მთარგმნელის ცნობილი „კითხვა-მიგება“, რომელიც დაბეჭდილია მიხ. საბინინის გამოცემულ „საქართველოს სამოთხეში“.

სასახელო საქმეს იქმენ ტფილისის მღვდლები, რომელთაც ამ რამდენისამე წლის წინად შეჰკრიბეს 200 თუმნამდე სასარგებლო წიგნების გამოსაცემად, თუ უწინარეს ყოვლისა ამ წიგნს დაჰბეჭდავენ.

მ. ჯანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 59.

## დეპეშა

17 მარტი

**კოპენჰაგენი.** ფოლკეტინგმა, 73 ხმის უმეტესობით 28 წინააღმდეგ, 100.000 კრონი გადასდო სამხედრო ხომალდის აღმოსავლეთ აზიის წყლებზედ გასაგზავნად. ხომალდის უფროსად პრინცი ვალდემარი ინიშნება. 1899—1900 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შეწყნარებულია.

**პარიჟი.** „Gaulois“-ი სწერს, რომ საფრანგეთის წარმომადგენლებად გააგის კონფერენციაზედ ინიშნებიან მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად ნამყოფი ლეონ ბურჟუა და დეპუტატი ეტურნელლიო.

**პარიჟი.** ინგლის-საფრანგეთის მორიგების წინააღმდეგ არც გერმანიასა და არც იტალიას არავითარი უკმაყოფილება არ განუცხადებიათ.

**ბერლინი.** „Norddeutse Allg. Zeit.“-ი იუწყება, რომ გერმანიის იმპერიის წარმომადგენლებად გააგის კონფერენციაზედ ინიშნებიან: ელჩი გრაფი მიუნსტერი, მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ-შტენგელი, კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ცორნი და თითო აფიცერი ერთი ფლოტისა და ერთი ხმელეთის ჯარისა.

**ვენა.** როგორც „Freindenblatt“-ს გაუგონია, ავსტრი-უნგრეთის წარმომადგენლებად გააგის კონფერენციაზედ ინიშნებიან: გარეშე საქმეთა სამინისტროს განყოფილების მთავარუფროსი გრაფი ველსერსგეიმი და მეორე რწმუნებულად—გააგელი ელჩი ავსტრი-უნგრეთისა ოკოლიგანი. იმათვე ახლდებიან უმაღლესნი სამხედრო მოხელენი და კანონ მდებლობის მცოდნენი. ველსერსგეიმის არჩევანი ჰმოწმობს, რა მნიშვნელობისად სთვლიან იმპერატორის ნიკოლოოზის მიერ აღძრულს მოლაპარაკებას.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის წრეები იუწყებიან, რომ ოსმალეთისა და საბერძნეთის მოლაპარაკება სამშვიდო ხელშეკრულების დასამატ განსაკუთრებულ კონვენციის დადების შესახებ შეჩერებულიაო. ამ დღეებში საბერძნეთის დელეგატები აცნობებენ პორტას, რა გარდაწყვეტილებასაც დაადგნენ.

**ვაშინგტონი.** 4 თებერვლიდგან ფილიპპეს კუნძულებზედ მოკლულია 157 კაცი, ხოლო დაჭრილია 864 კაცი.

17 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესის ხელმწიფე იმპერატორის ნება-დართვით, იმ განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც თავად-აზნაურთა წოდების საქმეების განხილვა აქვს მინდობილი, კომისის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია თავად-აზნაურთა წინამძღოლნი შემდეგის გუბერნიებისა: ხარკოვისა—გრაფი კაპნისტი, ეკატერინოსლავისა—სტრუკოვი, ვლადიმირისა—ლეონტიევი, ნოვგოროდისა—თავადი ვასილჩიკოვი, მოსკოვისა—თავადი ტრუბეცკოი და პეტერბურგისა—ზინოვიევი.

**პარიჟი:** საკასაციო სასამართლომ დაასრულა განხილვა დრეიფუსის საქმის სამხედრო და სადიპლომატო საიდუმლო dossier-სა. საკასაციო სასამართლომ კრებები შესწყვიტა. ამით ბალლო-გოოპრე ისარგებლებს და მოხსენებას შეადგენს.

**ლონდონი.** ბალფურმა გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში მიიღო დეპუტაცია საერთაშორისო სამშვიდობო საზოგადოებისა, დეპუტაციის წევრთა შორის იყვნენ: ჰერცოგი ებერდინი, ლონდონისა და როჩესტერის ეპისკოპოსები. დეპუტაციამ გადასცა მოხსენება, რომელშიაც თხოულობენ, დახმარება აღმოუჩინეთ იმ იდეიებს, რომელიც რუსეთმა სამშვიდო მოწოდებაში გამოსთქვაო. მოხსენებაზედ ხელი უწერიათ ინგლისის 200 ქალაქის მცხოვრებელს. თავისს პასუხში ბალფურმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა გულითადის თანაგრძნობით მოეკიდება სამშვიდობო საქმესაო. შემდეგ განაცხადა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ განხორციელდა განზრახვა იმისა, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის ხელ-შეკრულება დადებულიყო სამედიატორო სასამართლოს შესახებ. დარწმუნებული ვარ, დადგება ისეთი დრო, როდესაც განხორციელდება ასეთი ხელშეკრულება ღირს-საყურადღებო იარაღის აყრის წინადადებაში ის არის, განაგრძო ბალფურმა,—რომ იგი პირველად აღძრა უდიდესის სამხედრო სახელმწიფოს მეფემ. ხელმწიფის მიერ აღძრულ საგანს ისეთის თანაგრძნობით და სიხარულ…
არსად არ მიეგებნენ, როგორა…
ინგლისში. ეს-კი მაჩვენებელია…
ცოზრიობის პროგრესისა, ახალ…
ნაბიჯისა, რომლის წყალობი…
ქვეყანა უახლოვდება იმ დრ…
როდესაც საყოველთაო მშვიდ…
ნობა ჩამოვარდება.

## მცირე შენიშვნა.

„ივერიის“ მე-48 №-ში დაბეჭდილი…
რილი „ძველი სენაკის ამხანაგობის შ…
ლის წევრთა საყურადღებოდ“. ავტორ…
წერილისა ბ-ნი ლევან ქავთარაძე გვაუ…
„რადგან ძველი სენაკის შუამავლის მ…
თველმა არ მოიწვია საზოგადო კრება, …
ლებული ვარ გაზეთის საშუალებით ვაუ…
ამხანაგობის წევრებს, რომ ამხანაგობის …
ლარობას“ თავს ვანებებ დღეიდგან …
ვსპობ მუშაობას ამ საქმეშიო“ და ხს…
თან დასძენს იგი: „სასურველია, რაც …
ლება ჩქარა მოხდეს წევრთა საზოგადო …
ბა, ანგარიში ჩამომართონ, აირჩიონ …
მოლარე, რომ ბოლო არ მოეღოს ამ …
თილ საქმესაო“. სწორედ დიდის გუ…
ტკივილით აღვნიშნავთ ამ გარემო…
მით უმეტეს, რომ მოლარე ამ საქმისა …
ლევან ქავთარაძე, ერთი იმ კაცთაგა…
რომელიც დიდი სანდოა და გამოცდილ…
არ აკლია ამ გვარ საქმეში და ვერ გა…
გია, რამ აიძულა იგი, რომ თავს ანე…
ამ საყოველთაო და სამადლო საქმეს მა…
როდესაც იგი მეთაურად ითვლებოდა „…
ამავლის“ დაარსების დასაწყისში? სწო…
სამწუხაროა ამ გვარის კაცის მოშორ…
ბ-ნ ლევან ქავთარაძის წერილიდგან ცხა…
სჩანს მმართველ-გამგის უთავობა, თო…
არც ლ. ქავთარაძე დაანებებდა თავს მო…
რობას.

რა მიზეზია, რომ ამ უკუღმართ ვარ…
ლავზედ მოფიქრებულ და დაარსებულ „…
ხანიგრბის“ გამგეობა არ იწვევს წევრ…
რამ დააფრთხო იგი? ნუთუ წესიერება …
მოითხოვდა, რომ ორის წლის განმავ…
ბაში ერთხელ მაინც მოეხდინათ წევ…
კრება და ეჩვენებინათ თავიანთის მოქმე…
ბის ავ-კარგი? რად არ იწვევენ წევრებს …
ხანაგობის გასაძლიერებლად, როდესაც …
რევიზიო კომისიის წევრების ანგარი…
სჩანს, რომ დაარსებიდგან დღევანდლა…
წევრებს შემოუტანიათ 1896 მანეთი. …
ამ 1896 მანეთით გააკეთებენ რამეს? დ…
მუნებული ბრძანდებოდეს გამგეობა, …
წაკითხვას „სარევიზიო კომისიის წევრებ…
ანგარიშისას, რომელიც წარსულის წ…
„ივერიის“ მე-280 ნომერში იყო დაბეჭ…
ლი, უმრავლესობა წევრებისა ვერ ეღი…
ბოდა, რადგანაც წევრები დაფანტუ…
არიან და არც ყველა კითხულობს გაზე…
ამიტომ, საჭიროა და ფრიად საჭირო, …
მოხდეს საზოგადო წევრთა კრება; მოიწ…
ონ ბლომად წევრები, თორემ თუ ძირი…
დი თანხა არ გააფართოვა გამგეობამ, …
ბერძენ-სომეხ-ურიების კერძი იქნება …
გილობრივი ნაწარმოები და ისევ ის …
დაადგება ხალხს, რაც ეხლა ადგია.

ტრიფონ კალანდარიშვილი


## განცხადებანი

## ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წ…
მოებისა,
რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ ს…
მეს სესხის გატანისას როგორ…
სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლ…
ბისათვის.
ალექსანდრე გრიგორის ძე სნ…
კოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახ…
№ 26, ტელეფონი № 567.
(20—3—18)